4891232

# შესაგებელი
## ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსვლის თარიღი 29.07.21
შემოსვლის დრო
შემოსვლის № 4891265
უერთვლების რაოდენობა

| | | |
|---|---|---|
| საქმე №3/3845-21 | ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა" თენგიზ ჯგუშია მარინა დგებუაძე | თამარ მეშველიანი |
| | მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება) | მოსამართლის სახელი და გვარი |

**მოპასუხე:** *შენიშვნა-1*

| | | |
|---|---|---|
| შპს კოლხეთი ცემენტი | 404583571 | მთაწმინდის რაიონი, ი. ნიკოლაძის ქ., 5ა ბ. 130, თბილისი, საქართველო |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი) |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2* | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

**მოპასუხის წარმომადგენელი:** *შენიშვნა-3*

| | | |
|---|---|---|
| 1. გიორგი სვანაძე<br>2. ელენე გოგიჩაიშვილი | 1. 01024022055<br>2. 59001121054 | ჰაუსარტ პლაზა, სართული 17, ოფისი 65, ილია ჭავჭავაძის გამზირი 60 (ბ) 0162, თბილისი საქართველო |
| სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 577 09 12 11 | | elene.gogichaishvili@mglaw.ge |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

**საკონტაქტო პირი:** *შენიშვნა-4*

| | | | |
|---|---|---|---|
| ელენე გოგიჩაიშვილი | 59001121054 | 577 09 12 11 | elene.gogichaishvili@mglaw.ge |
| სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა |

*შენიშვნა-5*

*ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*

სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

საქით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

| სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |
|---|---|---|
| | | |

| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |
|---|---|
| | |

| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

*შენიშვნა-7*

## ცნობთ თუ არა სარჩელს?

- ☐ დიახ
- ☒ არა
- ☐ ნაწილობრივ

*შენიშვნა-8*

## მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

პირველ ფაქტობრივ გარემოებას მესამე პირი ეთანხმება.

მტკიცებულება:

ა. სარჩელის დანართი N 1 - 2020 წლის 14 ივლისს გამოქვეყნებული განცხადება

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მეორე ფაქტობრივ გარემოებას მესამე პირი ეთანხმება.

მტკიცებულება:

ა. სარჩელის დანართი N 2 - 2020 წლის 15 ივლისს გამოქვეყნებული განცხადება

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მესამე ფაქტობრივ გარემოებას მესამე პირი - შპს "კოლხეთი ცემენტი" ეთანხმება.

ამასთან, მესამე ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, სასამართლოს ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგზე: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკოპინგის ანგარიშის განხილვის გადადების შესახებ განცხადებით მიმართვამდე, მესამე პირი მაქსიმალურად ცდილობდა ამოეწურა და შეესწავლა ყველა ღია საკითხი, მათ შორის, სკოპინგის ანგარიშის საჯარო წესით სრულყოფილად განხილვის მიზნით.

შპს "კოლხეთი ცემენტი" დამატებით ხაზს უსვამს მოსარჩელეების მიერ მესამე ფაქტობრივ გარემოებაში მითითებულ საკითხს: კერძოდ, სარჩელის მიხედვით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, როგორც სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ორგანიზებაზე პასუხისმგებელმა პირმა, საჯარო განხილვის გადადების თაობაზე განცხადება გამოაქვეყნა შესაბამის ვებგვერდზე. ამასთან, როგორც მოსარჩელეებისთვის ცნობილია, საჯარო განხილვა ღიაა და მასში მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ წარმომადგენელს/პირს. შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ აქვს შესაძლებლობა (არათუ ვალდებულება), რომელიმე პირს, მათ შორის, დაინტერესებულ მხარეებს ინდივიდუალური შეტყობინებები გაუგზავნოს.

მტკიცებულება:

ა. სარჩელის დანართი N 3 - 2020 წლის 30 ივლისის განცხადება; სარჩელის დანართი N 4 - შპს "კოლხეთი ცემენტის" დირექტორის წერილი

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მოსარჩელეების მიერ სარჩელის მე-4 ფაქტობრივ გარემოებში აღწერილი გარემოებები არ შეესაბამება რეალობას. კერძოდ, შპს "კოლხეთი ცემენტს", არც ერთი ფორმით, არ მოუხდენია მოსახლეობის ზეწოლა ან ჰქონია რაიმე მცდელობა, რომ მაცხოვრებლებისგან მათი სურვილის საწინააღმდეგო განცხადებები მოეპოვებინა. აქვე აღვნიშნავთ, რომ შპს "კოლხეთი ცემენტი" პროექტზე მუშაობისას დღემდე აქტიურად არის ჩართული მოსახლეობასთან ცემენტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლოატაციის საკითხის და შესაბამისი პროექტის განხილვით. აღნიშნული დასტურდება სკოპინგის ანგარიშის მოსახლეობასთან განხილვითაც (საჯარო განხილვა ჩატარდა 2021 წლის 22 თებერვალს, დამატებით, გთხოვთ, იხილოთ შესაგებლის დანართი N 5 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 1 აპრილის სკოპინგის დასკვნა N17).

ამასთან, მესამე პირი არ ეთანხმება მოსარჩელეების განცხადებას, რომ სახელმწიფო უწყებებს არ მოუხდენიათ რეაგირება შპს "კოლხეთი ცემენტის" საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნული მიმართულებით დეტალებს განვიხილავთ წინამდებარე შესაგებელში (მესამე პირის პოზიციაში), ქვემოთ. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ როგორც სარჩელის მე-4 ფაქტობრივი გარემოება, ისე აღნიშნულზე თანდართული მტკიცებულება (სარჩელის დანართი N 5) ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და არ შეესაბამება რეალობას.

მტკიცებულება:

ა. სარჩელის დანართი N 5 - მწვანე ალტერნატივას 2020 წლის 3 აგვისტოს წერილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს (მესამე პირი არ ეთანხმება წერილში აღწერილ გარემოებებს და მიიჩნევს, რომ ისინი დაუსაბუთებელია).

ბ. შესაგებლის დანართი N 5 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 1 აპრილის სკოპინგის დასკვნა N17.

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ნაწილობრივ ვეთანხმები

სარჩელის მე-5 ფაქტობრივი გარემოების მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობა გამოთქვამდა პროტესტს შპს "კოლხეთი ცემენტის" პროექტთან დაკავშირებით. მესამე პირი აღნიშნავს, რომ პროექტის მიმართ შეუძლებელია ყველა მოსახლეს ჰქონდეს დადებითი მოსაზრება. ამასთან, სკოპინგისა და შემდგომში გზშ-ის ანგარიშის საჯაროდ განხილვაც სწორედ დაინტერესებული პირების შეკითხვების პასუხგასაცემად და მათი მოსაზრებების გასათვალისწინებლად იმართება. ამასთან, საჯარო განხილვების შედეგად იკვეთება დამატებითი საკითხები, რომელთა გათვალისწინება ხდება გზშ-ში. შესაბამისად, მესამე პირის ინტერესებშია მოსახლეობის პრეტენზიების მოსმენა და გზშ-ში შესაბამისად გათვალისწინება, რაც რეალურად ხორციელდება.

მტკიცებულება:

ა. სარჩელის დანართი N 6.

მე-6 ფაქტობრივ გარემოებას - ნაწილობრივ ვეთანხმები

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, შპს "კოლხეთი ცემენტს" დაწყებული ჰქონდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, მათ შორის, სკოპინგის ანგარიშის მომზადებისა და საჯაროდ განხილვისათვის მზადება. შესაბამისად, გაუგებარია მოსარჩელეების აპელირება, რომ მესამე პირი რაიმე ქმედებებს მოტყუებით ახორციელებდა. ამასთან, შპს "კოლხეთი ცემენტს" დაწყებული ჰქონდა მოსამზადებელი სამუშაოები, ხოლო თუ რომელიმე სახელმწიფო უწყება ჩათვლიდა, რომ მესამე პირის მიერ ჩატარებული სამუშაოები სცილდებოდა მოსამზადებელ სამუშაოებს, შპს "კოლხეთი ცემენტი" მზად იყო შეესრულებინა სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მოთხოვნები. შპს "კოლხეთი ცემენტი" სრულად დაემორჩილა სახელმწიფო უწყებების მიერ გავრცელებულ სანქციებს და დაფარა დაკისრებული ჯარიმაც. აღნიშნულზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ა. სარჩელის დანართი N 7 - ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება; სარჩელის დანართი N 8 - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი / სამეგრელო-ზემო სვანეთის რეიონული სამმართველოს სააპელაციო საჩივარი.

მე-7 ფაქტობრივ გარემოებას - ნაწილობრივ ვეთანხმები

როგორც შპს "კოლხეთი ცემენტისთვისაც" არის ცნობილი, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლოს 2021 წლის 10 მარტის დადგენილებით შპს "კოლხეთი ცემენტს" სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოეცხადა სიტყვიერი გაფრთხილება. შპს "კოლხეთი ცემენტის" ნაბიჯები კი სრულად შეესაბამება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს დადგენილებას და მესამე პირს მიაჩნია, რომ არ არსებობს აღნიშნულის გასაჩივრების საფუძვლები.
ამასთან, სარჩელის მე-7 ფაქტობრივი გარემოება მითითებას აკეთებს სარჩელის დანართ 9-ზე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 5 აპრილის N 2-400 ბრძანებაზე. გაურკვეველია, თუ რა კავშირი აქვს აღნიშნულ ბრძანებას მე-7 ფაქტობრივ გარემოებაში მითითებულ საკითხებთან.

ა. სარჩელის დანართი N 9 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 5 აპრილის ბრძანება N 2-400 "ქ. ზუგდიდში შპს "კოლხეთი ცემენტის" ცემენტის წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ".

მე-8 ფაქტობრივ გარემოებას - ნაწილობრივ ვეთანხმები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება დასრულდა 2021 წლის 22 მარტის ზ.24.24210811 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, შპს "კოლხეთი ცემენტს" დაეკისრა ჯარიმის - 4,000 ლარის ოდენობით გადახდა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 9 დეკემბრის N 23 დადგენილება), ხოლო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 9 დეკემბრის N 23-ე დადგენილების მე-2 პუნქტი - უნებართვოდ წარმოებული მშენებლობის დემონტაჟის ნაწილში, ბათილად იქნა ცნობილი. სასამართლოს ვაცნობებთ, რომ შპს "კოლხეთი ცემენტმა" სრულად დაფარა დაკისრებული ჯარიმა 4,000 ლარის ოდენობით.

ა. სარჩელის დანართი N 10 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 19 აპრილის N 3783/01 წერილი.
ბ. შესაგებლის დანართი N 1 - ზუგდიდის მუნიციპალიეტეტის მერიაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დასრულების თაობაზე 2021 წლის 22 მარტის ზ.24.24210811 ბრძანება.
გ. შესაგებლის დანართი N 2 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 9 დეკემბრის N 23 დადგენილება.
დ. შესაგებლის დანართი N 3 [ჯარიმის გადახდის ქვითარი]

მე-9 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მოსარჩელეების მიერ სარჩელის მე-9 ფაქტობრივ გარემოებაში მითითებული საკითხი ზოგადად დავის გარშემო რაიმე კონკრეტულ გარემოებას არ ასახელებს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 28 აპრილის N 4242/01 წერილით მოსარჩელეებისათვის გადაცემულ ადმინისტრაციული წარმოების მასალებზე მესამე პირი - შპს "კოლხეთი ცემენტი" მოგვიანებით წარმოუდგენს სასამართლოს საკუთარ დეტალურ მოსაზრებებს.

მე-10 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

როგორც სარჩელში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, მოსარჩელეებმა მიმართეს საქართველოს მთავრობას და მოითხოვეს სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2021 წლის 31 მაისის წერილით მოსარჩელეებს ეცნობათ, რომ მინისტრის აღნიშნული ბრძანება უნდა გასაჩივრებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

ა. სარჩელის დანართი N 12 - მწვანე ალტერნატივას, თენგიზ ჯგუშიას და მარინა დგებუაძის ადმინისტრაციული საჩივარი; სარჩელის დანართი N 13 - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

## დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

დიახ ☒ რის საფუძველზე? საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში "სზაკ") მუხლის 180(1)-ის მიხედვით, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. სზაკ-ის მუხლი 178(1)-ის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

არა ☐

დამატებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (შემდგომში "ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი") მუხლი 22(1)-ის თანახმად, სარჩელი შესაძლოა აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. ამავე კოდექსის 22(3) მუხლის მიხედვით, [...] სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში [...]. ამასთან, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მუხლი 26, მეორე პრიმა, მეორე ნაწილის მიხედვით, სასამართლო განჩინებით წყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე–25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო აღნიშნული საფუძვლით წყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N 2-400 ბრძანება ქ. ზუგდიდში, შპს "კოლხეთი ცემენტის" ცემენტის წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ გაიცა 2021 წლის 5 აპრილს, ხოლო აღნიშნული ბრძანება საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2021 წლის 8 აპრილის (დანართი 6 - ამონარიდი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდიდან, გვ. 13). აქვე აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ("გარემოს კოდექსი") მუხლი 9(1)-ის მიხედვით, გარემოს დაცვის სამინისტრო ამავე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად იხილავს სკოპინგის განცხადებას და სზაკ-ის IX თავით დადგენილი წესით გასცემს სკოპინგის დასკვნას. სზაკ-ის IX თავი მოიცავს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ რეგულირებას. სზაკ-ის IX თავის მუხლი 115(2) თანახმად, [...] გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება ამ თავით [IX თავი] დადგენილი წესები. ამავე კოდექსის მუხლი 115(3)-ის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, ამ თავით დადგენილი წესით, შეიძლება გამოიცეს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ეხება

პირთა ფართო წრის ინტერესებს.

ზემოთ მითითებული საკანონმდებლო აქტებისა და რეგულირების გათვალისწინებით, მესამე პირს მიაჩნია, რომ წინამდებარე დავაზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მუხლი 22, მუხლი 26 მეორე პრიმა, სზაკ-ის მუხლი 180(1) და მუხლი 178 (1)-ის შესაბამისად, შემდეგი გარემოებების გამო:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N 2-400 ბრძანება გამოცემულია 2021 წლის 5 აპრილს.
- N 2-400 ბრძანება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2021 წლის 8 აპრილს.
- N 2-400 ბრძანების მე-6 პუნქტის მიხედვით, ბრძანება შესაძლოა გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- შესაბამისად, ვხელმძღვანელობთ რა N 2-400 ბრძანების გამოქვეყნების თარიღით, ბრძანების გასაჩივრებისთვის დადგენილი ერთთვიანი ვადა გავიდა 2021 წლის 8 მაისს. ვინაიდან 8 მაისი შაბათი იყო, საჩივრის წარდგენის ბოლო ვადაა შემდეგი სამუშაო დღე - 10 მაისი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 61(2) – თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე).

შესაბამისად, N 2-400 ბრძანება შესაძლოა გასაჩივრებულიყო სწორედ აღნიშნულ ვადაში.

მოსარჩელეებმა საჩივარი წარადგინეს N 2-400 ბრძანებისათვის განსაზღვრული გასაჩივრების ვადის დარღვევით. კერძოდ, საჩივარი თარიღდება 2021 წლის 27 მაისით, რა თარიღიც ზევრად სცდება 2021 წლის 10 მაისს. ამასთან, თუ ვიმსჯელებთ, რომ მოსარჩელეებს 2021 წლის 5 აპრილის N 2-400 ბრძანება და ადმინისტრაციული საქმის მასალები გადაეცათ სამინისტროს 2021 წლის 28 აპრილის N 4242/01 წერილით და ამ თარიღიდან მოხდება ვადის ათვლა, მოსარჩელეებმა მაინც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის დარღვევით წარმოადგინეს სარჩელი სასამართლოში - კერძოდ, 2021 წლის 23 ივნისს.

აქვე დავძენთ, რომ მოსარჩელეებმა საჩივარი წარადგინეს არაუფლებამოსილ ორგანოშიც. კერძოდ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 5 აპრილის N 2-400 ბრძანების მე-6 პუნქტით პირდაპირ განისაზღვრა ბრძანების გასაჩივრების წესი - აღნიშნული შესაძლოა გასაჩივრებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული ჩანაწერისა, მოსარჩელეებმა სარჩელი არ შეიტანეს სასამართლოში და მიმართეს საქართველოს მთავრობას.

ნებისმიერ შემთხვევაში, მოსარჩელეებმა სარჩელი სასამართლოში შემოიტანეს 2021 წლის 23 ივნისს, კანონით გათვალისწინებული გასაჩივრების ვადის დარღვევით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს წინაშე ვშუამდგომლობთ მოხდეს დავაზე საქმის წარმოების შეწყვეტა.

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?

**არა** ☒

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?

**არა** ☒

შენიშვნა-19

## მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

მესამე პირი - შპს "კოლხეთი ცემენტი" არ ეთანხმება მოსარჩელეების მიერ პირველ სასარჩელო მოთხოვნაში გაწერილ მოთხოვნას და მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებსა და არგუმენტაციას.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მესამე პირი - შპს "კოლხეთი ცემენტი" არ ეთანხმება მოსარჩელეების მიერ პირველ სასარჩელო მოთხოვნაში გაწერილ მოთხოვნას და მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს და დასაბუთებას შემდეგის გამო:

- გარემოს კოდექსი:

აღნიშნული კოდექსის მიზნებია (მუხლი 2(1)):

ა) ხელი შეუწყოს გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობების დაცვას ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე;

[...]

დ) გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის განხორციელებისას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა.

გარემოს კოდექსის მუხლი 5(1)-ის მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ("გზშ") ექვემდებარება ხსენებული კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს. გარემოს კოდექსის მუხლი 5(4)-ს მიხედვით, გზშ-ის მიზანია ამავე კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის

განხორციელებით გამოწვეული შემდეგ ფაქტორებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენა, შესწავლა და აღწერა:

ა) ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;

ბ) ბიომრავალფეროვნება (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები);

გ) წყალი, ჰაერი, ნიადაგი, მიწა, კლიმატი და ლანდშაფტი;

დ) კულტურული მემკვიდრეობა და მატერიალური ფასეულობები;

ე) „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფაქტორების ურთიერთქმედება.

გარემოს დაცვის კოდექსის მუხლი 6(1)-ის მიხედვით, გზშ-ის ძირითადი ეტაპებია:

ა) ამავე კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა;

ბ) საქმიანობის განმახორციელებლის ან კონსულტანტის მიერ გზშ-ის ანგარიშის მომზადება ამავე კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად;

გ) საზოგადოების მონაწილეობა;

დ) სამინისტროს მიერ გზშ-ის ანგარიშში ასახული ინფორმაციის, საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი დამატებითი ინფორმაციის, საზოგადოების მონაწილეობისა და უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების დროს მიღებული ინფორმაციის შეფასება;

ე) ექსპერტიზის ჩატარება ამავე კოდექსის VI თავის შესაბამისად;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელება ამავე კოდექსის V თავის შესაბამისად.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, გარემოს კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-მდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა [...]. აქვე დამატებით აღვნიშნავთ, რომ გარემოს დაცვის კოდექსი ითვალისწინებს სკრინინგის განმარტებას, რომლის მიხედვით სკრინინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ის [...] ჩატარების საჭიროებას. გარემოს კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტი ითვალისწინებს ცემენტის, კირის, გაჯის ან/და თაბაშირის წარმოებას. აღნიშნული რეგულირებისა და მესამე პირის საქმიანობის საგნის გათვალისწინებით, შპს "კოლხეთი ცემენტმა" გარემოს კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა სკრინინგის განცხადებით (იხ. შესაგებლის დანართი 4 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტის 2019 წლის 12 დეკემბრის N 2-1206 ბრძანება ქ. ზუგდიდში შპს „კოლხეთი ცემენტის“ ცემენტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ). მესამე პირის მიზანი იყო სწორედ იმ საკითხის დაზუსტდება - დაექვემდებარებოდა თუ არა მისი საქმიანობა გზშ-ს. შპს "კოლხეთი ცემენტის" სკრინინგის განცხადების საფუძველზე და აღნიშნულის შესწავლის შემდგომ, სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ შპს „კოლხეთი ცემენტის“ ცემენტის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. აქვე მესამე პირი სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2-1206 ბრძანების ჩანაწერზე და სთავაზობს სასამართლოს შესაბამის ამონარიდს: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი. შესაბამისად, აღნიშნულითაც დასტურდება, რომ სახელმწიფო უწყება – ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტრო მოქმედებდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების (მათ შორის, გარემოს კოდექსი) შესაბამისად.

დამატებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკოპინგის დასკვნა 17-ით (თარიღი: 2021 წლის 1 აპრილი) დასტურდება, რომ შპს "კოლხეთი ცემენტმა" მოამზადა და სამინისტროს წარუდგინა განახლებული სკოპინგის ანგარიში. ამასთან, მესამე პირმა გაითვალისწინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენიშვნებიც და საბოლოო განახლებული სკოპინგის ანგარიში წარადგინა 2021 წლის 4 თებერვალს. აღნიშნული ანგარიშის საჯარო განხილვა ჩატარდა 2021 წლის 22 თებერვალს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკოპინგის N 17 დასკვნაში განისაზღვრა იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელიც უნდა აისახოს გზშ-ს ანგარიშში, რასაც უზრუნველყოფს შპს "კოლხეთი ცემენტი".

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მესამე პირს მიაჩნია, რომ მოსარჩელეების არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ საქმიანობა არ ექცევა გარემოს კოდექსის რეგულირების ფარგლებში და რომ შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყვეტილიყო, მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნულის საპირისპიროდ, როგორც გარემოს კოდექსის, ისე სამინისტროს მიერ გამოცემული აქტებით დგინდება, რომ მესამე პირის - შპს "კოლხეთი ცემენტის" საქმიანობა ექცევა გარემოს კოდექსის რეგულირების სფეროში, ვინაიდან მესამე პირი გეგმავს ცემენტის საწარმოს შექმნას/ოპერირებას. სწორედ ამ მიზნით დაევალა მას სკოპინგისა და შემდგომ გზშ-ს ანგარიშების მომზადება/შეთანხმება. აღნიშნულის საპირისპირო ქმედება წინააღმდეგობაში მოდის გარემოს კოდექსის რეგულირებისგან. დამატებით, გარემოს კოდექსის მიზნების გათვალისწინებით, მომზადებული ანგარიშები (მათ შორის, სკოპინგი და გზშ) უნდა გავრცელდეს პროექტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებზეც, მათ შორის, ასეთი ანგარიშების შეთანხმებამდე განხორციელებულ აქტივობებზე/მოქმედებებზე, ვინაიდან სამომავლოდ საწარმოს ექსპლოატაციას და ოპერირებას შესაძლოა ჰქონდეს კონკრეტული გავლენა გარემოზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რომ სახეზე არ არის საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის, სზაკ-ის რომელიმე მუხლი) აქტის ბათილობის საფუძველი და სარჩელი სრულიად დაუსაბუთებელია. სახელმწიფო უწყებების, მათ შორის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული ქმედებები და წარმოებული ადმინისტრაციული პროცესი სრულად შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

---

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები
მესამე პირი - შპს "კოლხეთი ცემენტი" არ ეთანხმება მოსარჩელეების მიერ მეორე სასარჩელო მოთხოვნაში გაწერილ მოთხოვნას და მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებსა და არგუმენტაციას.
შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:
მესამე პირი - შპს "კოლხეთი ცემენტი" მიიჩნევს, რომ მეორე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებითაც მოსარჩელეების არგუმენტაცია სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პირდაპირ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობასაც, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 5 აპრილის N2-400 ბრძანების მოქმედების შეჩერების მოთხოვნასთან დაკავშირებით, მესამე პირი წარმოგიდგენთ მოსაზრებას:

შპს "კოლხეთი ცემენტი" მიიჩნევს, რომ მოსარჩელეების მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მოთხოვნა 2021 წლის 5 აპრილის N2-400 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე სრულიად დაუსაბუთებელი და უკანონოა. კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოთვლის ისეთ გარემოებებს, როდესაც სასამართლოს მიერ სარჩელის მიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას არ იწვევს. აღნიშნული ჩამონათვალიდან მნიშვნელოვანია 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის როგორც ბ), ისე ე) პუნქტები. კერძოდ, ბ) პუნქტის მიხედვით, აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას, ხოლო ე) პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. როგორც სასამართლოსთვის ცნობილია, ცემენტის საწარმოს მოწყობის პროექტი და შესაბამისი აქტივობები დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან და აღნიშნულის უკანონოდ შეჩერება გამოიწვევს რეალურ ზიანს, რომელიც მიადგება მათ შორის, მესამე პირსაც. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე მოსარჩელეების მოთხოვნა 2021 წლის 5 აპრილის N2-400 ბრძანების შეჩერების შესახებ სრულიად დაუსაბუთებელი და უკანონოა.

ზემოაღნიშნულთან დამატებით, მესამე პირი სრულად ეთანხმება სასამართლოს 2021 წლის 28 ივნისის განჩინებას, რომლითაც მოსარჩელეების შუამდგომლობა 2021 წლის 5 აპრილის N2-400 ბრძანების შეჩერების შესახებ თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება აღნიშნავს, რომ "სწორედ შუამდგომლობის ავტორი მხარეა ვალდებული, სასამართლოს წინაშე სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს და სასამართლოს შეუქმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებით მიყენებული ზიანი იმდენად მნიშვნელოვანი და არსებითი ხასიათისაა, რომ აღემატება სადავო აქტის აღსრულების ინტერესს, რამდენადაც სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს როგორც მხარის ინტერესი, ისე ის თანმდევი შედეგი, რაც აქტის შეჩერებას შესაძლოა მოჰყვეს და გადაწყვეტილება მიიღოს სადავო აქტის აღსრულებისა და აღსრულების შეჩერებაზე არსებული ინტერესების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე. შესაბამისად, ,,არსებითი ზიანის'' მტკიცება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ მოსაზრებას, არამედ უნდა იყოს რეალური, დასაბუთებული და დასტურდებოდეს კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით.
სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ქმნის დასაბუთებულ ეჭვს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედების შეუჩერებლობით განმცხადებლის უფლების რეალიზაციის მნიშვნელოვნად გართულების ან/და მისი კანონიერი უფლების და ინტერესის დაცვის შეუძლებლობის თაობაზე, რის გამოც შუამდგომლობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს."
შპს "კოლხეთი ცემენტი" ეთანხმება სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას და მიიჩნევს, რომ სასამართლოს 2021 წლის 28 ივნისის განჩინება 2021 წლის 5 აპრილის N2-400 ბრძანების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ სრულიად კანონიერი და დასაბუთებულია.

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

[redacted]

[redacted]

# მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

| | |
|---|---|
| მოწმე | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| ექსპერტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| სპეციალისტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

# სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

დროის სიმცირის გამო, შპს "კოლხეთი ცემენტი" სასამართლოს აცნობებს და დამატებით შუამდგომლობს დაზუსტებული შესაგებლის ან/და მტკიცებულებების (მათი არსებობისას) წარდგენის თაობაზე.

არგუმენტაცია:

მესამე პირი - შპს "კოლხეთი ცემენტი" სასამართლოს აცნობებს, რომ შეზღუდული ვადის გათვალისწინებით, იგი მოგვიანებით, საჭიროებისებრ, წარმოადგენს დაზუსტებულ შესაგებელს საქმეზე. მესამე პირი ითვალისწინებს რა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 26, პირველი პრიმა, პირველი ნაწილის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებები, სასამართლოს დამატებით წინასწარ აცნობებს დაზუსტებული შუამდგომლობის და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის თაობაზე.

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

| | | |
|---|---|---|
| **გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?** | | |
| **დიახ** | ☐ | რის საფუძველზე? |
| **არა** | ☒ | |

*შენიშვნა-29*

| | | |
|---|---|---|
| **დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?** | | |
| **დიახ** | ☐ | ვის? რომელი ენის მცოდნე? |
| **არა** | ☒ | |

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:

**არა** ☒ რადგან

მუხლი 30

## თანდართული საბუთების ნუსხა

მუხლი 31 მუხლი 32

დანართი 1: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ 2021 წლის 22 მარტის ზ.24.24210811 ბრძანება.
დანართი 2: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 9 დეკემბრის N 23 დადგენილება.
დანართი 3 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 9 დეკემბრის N 23 დადგენილებით დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითარი.
დანართი 4 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 12 დეკემბრის N 2-1206 ბრძანება ქ. ზუგდიდში შპს „კოლხეთი ცემენტის" ცემენტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ.
დანართი 5 -საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 1 აპრილის სკოპინგის დასკვნა N17.
დანართი 6 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდიდან ამონარიდი.
დანართი 7 - შპს "კოლხეთი ცემენტის" მიერ გაცემული მინდობილობა.
დანართი 8 - შპს "კოლხეთი ცემენტის" ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (B21061472, მომზადების თარიღი: 21/06/2021)

ფურცლების საერთო რაოდენობა: 54.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

20 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე — დროის ოპტიმალური შუალედი: 10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-36

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე — თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| [ხელმოწერა] | ელენე გოგიჩაიშვილი | 29/07/2021 წ. |
|---|---|---|
| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

დანართი 1

საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება: №24.24210811
თარიღი: 22/03/2021

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 23 დეკემბრის №ბ24.242035811 ბრძანებით დაწყებული**

**ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის **23 დეკემბრის №ბ24.242035811** ბრძანებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოკვლეულ იქნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, კერძოდ:

2020 წლის 29 ივლისს ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. N1-ში, დაფიქსირდა შპს „კოლხეთი ცემენტი"-ს მიერ უნებართვო მშენებლობის ფაქტი, რაზედაც შპს „კოლხეთი ცემენტი"-ს დირექტორს 2020 წლის 29 ივლისს გაეგზავნა მითითება N11. მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ 2020 წლის 10 აგვისტოს შედგა შემოწმების აქტი N12, რომლითაც დაიწყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება. 2020 წლის 09 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ №23 დადგენილებით შპს "კოლხეთი ცემენტი" (ს/ნ 404583571) ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. N1-ში, უნებართვო მშენებლობის წარმოებაზე დაჯარიმდა 4000 (ოთხიათასი) ლარით. ამავე დადგენილებით დაევალა შპს „კოლხეთი ცემენტი"-ს დირექტორს რუბენ გაზარიას (პ/ნ 01017009404) მოეხდინა უნებართვოდ წარმოებული მშენებლობის დემონტაჟი.

შპს „კოლხეთი ცემენტი"-ს დირექტორი რუბენ გაზარია ადმინისტრაციული საჩივრით ითხოვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 09 დეკემბრის №23 დადგენილების გაუქმებას.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში შპს „კოლხეთი ცემენტი"-ს მიერ წარმოდგენილ იქნა: სკოპინგის ანგარიში – ქ. ზუგდიდში ცემენტის საწარმოოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი, ასლი; ქ.ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N1 -ში არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის ესკიზური პროექტი; პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა; ქ.ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N1 ცემენტის ქარხანა, საოფისე შენობა, კონსტრუქციული ნაწილი (მუშა პროექტი) ; ინსპექტირების ექსპერტიზის ანალიზი; შპს „კოლხეთი ცემენტი"-ს შენობა-ნაგებობის შეფასება; საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის ექსპერტიზა; ცემენტის ქარხნის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას შპს „კოლხეთი ცემენტის" დირექტორმა წერილით მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მასზედ, რომ ზუგდიდში ახორციელებს ცემენტის ქარხნის მშენებლობას სახელმწიფო პროგრამის, „აწარმოე საქართველოში," ფარგლებში. პანდემიის პირობებში დაჩქარებულად მოახდინეს საწარმოო ხაზის ტრანსპორტირება ჩინეთიდან, რის გამოც აუცილებელი გახდა დროებითი სადგამი ნაგებობების აღმართვა. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ითხოვს, აღნიშნული ნაგებობა, რომელიც მდებარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 200 კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთზე, შეისყიდოს აუქციონის წესით.

წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ს.კ N43.31.62.587, გაცემული 04/01/2021 წ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე მდებარე ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. - მესაკუთრე სახელმწიფო, ამონაწერით დასტურდება, რომ 13000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი,

მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობებით / N1 - მშენებარე, შპს „კოლხეთი ცემენტის" მიერ უნებართვოდ აშენებული/, სახელმწიფო საკუთრებაშია.

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიერ 2020 წლის 31 დეკემბერს დაიწყო ელექტრონული აუქციონი ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩაზე არსებულ 13000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ N1 /მშენებარე/ და N2 შენობა-ნაგებობებზე. აუქციონი დამთავრდა 2021 წლის 20 იანვარს შპს „კოლხეთი ცემენტის" გამარჯვებით.

წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ს.კ N43.31.62.587, გაცემული 22/02/2021 წ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. - მესაკუთრე შპს „კოლხეთი ცემენტი". ამონაწერით დასტურდება, რომ 13000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული N1 /მშენებარე/ და N2 შენობა-ნაგებობებით შპს „კოლხეთი ცემენტის" საკუთრებაშია. რეგისტრაციის საფუძველია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას 2021 წლის 22 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულება.

2021 წლის 22 თებერვალს ჩატარდა ქ. ზუგდიდში შპს „კოლხეთი ცემენტის" ცემენტის წარმოების პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა დისტანციურად.

ამრიგად, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვეთა ახალი გარემოება, რაც გასაჩივრებული დადგენილების მიღების დროს არ იყო ცნობილი, კერძოდ, შპს „კოლხეთი ცემენტის" მიერ უნებართვოდ აშენებული დამხმარე ნაგებობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან ერთად 2021 წლის 22 თებერვალს აუქციონის ფორმით პრივატიზებულ იქნა შპს „კოლხეთი ცემენტის" მიერ. შესაბამისად, გასაჩივრებული დადგენილება უნებართვოდ წარმოებული მშენებლობის დემონტაჟის ნაწილში უნდა გაუქმდეს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" VI და VIII თავის, ამავე კოდექსის 201-202-ე მუხლების და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 23 დეკემბრის **№24.242035811** ბრძანებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების 2021 წლის 18 იანვრის, 10 მარტის და 17 მარტის ზეპირი მოსმენის სხდომის N1-2 -3 ოქმების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დასრულდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის **23 დეკემბრის №24.242035811** ბრძანებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

2. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს შპს „კოლხეთი ცემენტის" დირექტორის რუბენ გასარიას ადმინისტრაციული საჩივარი.

3. ბათილად იქნეს ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 09 დეკემბრის №23 დადგენილების მე-2 პუნქტი, უნებართვოდ წარმოებული მშენებლობის დემონტაჟის თაობაზე.

4. სხვა ნაწილში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2020 წლის 09 დეკემბრის №23 დადგენილება დარჩეს უცვლელი.

5. აღნიშნული ბრძანების შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ მხარეს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ.ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

გიორგი შენგელია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი 2

# საქართველო
# ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური

წერილის ნომერი: 06-242034426
თარიღი: 09/12/2020
პინი: 9420

ადრესატი: შპს კოლხეთი ცემენტი, დირექტორი - რუბენ გახარია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404583571
მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ი. ნიკოლაძის ქ., N 5ა ბ. 130, ტელ: 551718181

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №23

## უნებართვო მშენებლობის წარმოებისთვის ჯარიმის დაკისრების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ე" პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე, 124-ე, 125-ე, 126-ე, 127-ე, 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლების, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 იანვრის №2 დადგენილების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 04 სექტემბრის №2151 ბრძანებით შექმნილი ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამართალდარღვევის საკითხთა განხილვის კომისიი"-ს 2020 წლის 08 დეკემბრის სხდომის ოქმი №25-ის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

**ა დ გ ე ნ ს:**

1. შ.პ.ს. „კოლხეთი ცემენტი" (ს/კ 405583571) ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N1-ში წარმოებულ უნებართვო მშენებლობაზე საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 130-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად დაჯარიმდეს 4000 (ოთხი ათასი) ლარით.
2. დაევალოს შ.პ.ს. „კოლხეთი ცემენტი"-ს (ს/კ 405583571) დირექტორს რუბენ გახარიას მოახდინოს ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N1-ში მის მიერ უნებართვოდ წარმოებული მშენებლობის დემონტაჟი.
3. სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევაზე დაკისრებული ჯარიმა დამრღვევმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.
4. ჯარიმის ჩარიცხვა ხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში ერთიანი არასაგადასახადო შემოსავლო „სანქციები და საურავები" არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო, მიმღები ხაზინის ერთიანი ანგარიში, კოდი: № 300 82 32 63.
5. ჯარიმის თანხის გადახდისა და შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენის

შემდეგ შ.პ.ს. „კოლხეთი ცემენტი"-ს (ს/კ 405583571) მიმართ შეწყდეს სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს.
7. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერთან 15 დღის ვადაში, საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 128-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ლეონტი ფაჟავა

ზედამხედველობის სამსახური-სამსახურის უფროსი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი 3

**ტერაბანკი terabank** საკრედიტო საგადახდო დავალება N 1

თარიღი / Date 25/03/2021

გადამხდელი: შპს კოლხეთი ცემენტი, 404583571

საიდენტ. კოდი: **404583571**
გადამხდელის ბანკი: სს "ტერაბანკი"

ანგარიში: **GE22KS0000000360206526**
ბანკის კოდი: **TEBAGE22**

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
დასახელება: **შპს კოლხეთი ცემენტი, 404583571**
საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი: **404583571**

ასლი / Copy

მიმღები: **ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი თემი ზუგდიდ**
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: **300823263**
მიმღები ბანკი/ხაზინა: ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"
ბანკის კოდი: **TRESGE22**

გადახდის დანიშნულება: **შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო**
დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა: ______

**თანხა: 4000 GEL**

**თანხა სიტყვებით**
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

**ბანკის აღნიშვნები**
ბანკში შემოსვლის თარიღი:
**3/25/2021**
შესრულების თარიღი:
**3/25/2021**
ხელმოწერა:

სს "ტერაბანკი" გამგზავნილია

3/25/2021 453160805 1478

"ვადასტურებ, რომ სრულად ვიცნობ ბანკის ვებ-გვერდზე www. Terabank.ge განთავსებულ სს „ტერაბანკის" საბანკო მომსახურების სტანდარტულ პირობებს და ვეთანხმები მათ, რითაც მათ შორის ბანკს ვაძლევ უფლებას აღნიშნული პირობებით გათვალისწინებული წესით დაამუშაოს კლიენტის პერსონალური ინფორმაცია. თუ წინამდებარე საგადახდო დავალებით ხდება ერთჯერადი გადახდის ოპერაცია, ვადასტურებ, რომ წარმოვადგენ არამეწარმე ფიზიკურ პირს (ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე)."

"I confirm that I am fully aware and accept the standard terms and conditions for JSC Terabank's banking services, published on the website www. Terabank.ge, thereby giving consent to the bank to process personal data of the client in accordance with those terms and conditions. In case performing single payment based on the present payment order, I further certify that I am non-entrepreneurial physical person (applies to individuals only)."

ვაჩნაძე 21

# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-1206

12/12/2019

ქ. თბილისი

### ქ. ზუგდიდში შპს „კოლხეთი ცემენტის" ცემენტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „კოლხეთი ცემენტის" მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ცემენტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. ზუგდიდში, დემურიას ქ. N1-ში, 10784 მ² ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მიწის ნაკვეთზე (ს/კ 43.31.42.450). საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთით და დასავლეთით ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, სამხრეთით შპს „ჯტჯ პლასის" თხილის საწარმო და სს „მანქანათმშენებლის" ტერიტორია, ხოლო აღმოსავლეთით დემურიას ქუჩა და მდ. ჩხოუშის ნაპირას არსებული კერძო მიწის ნაკვეთები. ტერიტორიიდან დაახლოებით 280 მ-ში მიედინება მდ. ჩხოუში. სკრინინგის განცხადების თანახმად, ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 120 მ-ში, ხოლო საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ჩრდილოეთით 100 მ-ში.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი შენობა-ნაგებობების განთავსება: საოფისე შენობა (რომელიც მოიცავს ოფისისა და ლაბორატორიის ფართობს), სასაწყობე შენობა (სადაც მოხდება ცემენტის დასაწყობება), ანგარი-სამრეწველო პროცესის საწარმოებლად (საწარმოო ხაზი) და ნედლეულის ბუნკერი. ტერიტორიის სამხრეთით მოეწყობა გამწვანების ზოლი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში დაგეგმილია წელიწადში 8 000 ტონა ცემენტის წარმოება, მაქსიმალური წარმადობა-საათში 8 ტ. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე დაგეგმილია 20 ადამიანის დასაქმება. განცხადებაში წარმოდგენილი არ არის საწარმოს სამუშაო გრაფიკის შესახებ ინფორმაცია.

სკრინინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში დაგეგმილია სხვადასხვა მარკის ცემენტის წარმოება - კლინკერის, თაბაშირის, პემზის და სხვა დანამატების დაფქვით. რის შედეგადაც მიღებული პროდუქციის სახეებია: პორტლანდცემენტი MN 197 – II CEM 32.5 ევროპული სტანდარტი (მარკა 400), EN 197 – II CEM 42.5 ევროპული სტანდარტი (მარკა 500).

ტერიტორიაზე შემოტანილი მასალის დაფქვა იგეგმება ბურთულებიან მილისებურ წისქვილში. ბურთულებიან წისქვილში მიღებული პროდუქტი (ცემენტი) პნევმოტრანსპორტიორის საშუალებით გადადის სილოსებში. მიღებული ცემენტი იგზავნება ლაბორატორიაში (კომპანია აპირებს შემოტანოს მაღალი დონის ევროპული სტანდარტების ლაბორატორია, სადაც ცემენტის ნედლეული და საბოლოო პროდუქტი გაივლის დეტალურ შემოწმებას) ხარისხის კონტროლისთვის. შემდგომ სილოსებიდან ცემენტის მომხმარებელზე მიწოდება დაგეგმილია ცემენტმზიდით ან 50კგ-იანი დაფასოებული ტომრებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციაში შევა 6 სილოსი, რომელთა ჯამური მოცულობა იქნება 520 ტონა. წისქვილზე დამონტაჟდება ქსოვილოვანი სახელოიანი ფილტრები განზომილებით 200-2000 მმ. ფილტრების მტვერდამჭერის ეფექტურობა იქნება 99,96%.

შპს „კოლხეთის ცემენტის" საწარმოს საქმიანობისათვის ბუნებრივი ნედლეულის შეძენა მოხდება ადგილობრივი ბაზრიდან. 1 ტონა ცემენტის წარმოებისთვის საჭიროა 600-950 კგ კლინკერი, 200-600 კგ ბრძმედის გრანულირებული წიდა, 100-400 კგ პემზა, 0-200 კგ მყარი წიდა, 40-60 კგ თაბაშირი.

საწარმოში წყლის გამოყენება მოხდება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის. ტექნოლოგიურ პროცესში წყალი არ გამოიყენება. ჩამდინარე წყლები როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე ჩაშვებული იქნება ტერიტორიაზე უკვე არსებულ საკანალიზაციო სისტემაში. სკრინინგის განცხადებაში არ არის აღწერილი სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსებისთვის ტერიტორიაზე განთავსდება სპეციალური კონტეინერები, საიდანაც ქ. ზუგდიდის დასუფთავების სამსახურის მიერ ნარჩენების გატანა მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება საწარმოო ნარჩენებს, მოსალოდნელია შემდეგი სახის საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა: სინთეტიკური მექანიკური დამუშავების ზეთები, საპოხი მასალა, ქაღალდის და მუყაოს შესაფუთი მასალა, აბსორბენტები, საწურავები, ზეთის ფილტრები, ტყვიის შემცველი ბატარეები, შერეული ლითონები და სხვა. შეგროვებული სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა მოხდება ობიექტის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ სათავსოში, ხოლო შემდგომ გადაეცემა აღნიშნული ნარჩენების მართვაზე სათანადო ნებართვის მქონე კომპანიას.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული დანადგარებიდან მოსალოდნელია ხმაურის გავრცელება. ხმაური ასევე შესაძლებელია გამოიწვიოს ნედლეულის შემოზიდვა-დასაწყობებამ და აღნიშნული პროცესის დროს ავტოტრანსპორტის მუშაობამ. საწარმოდან უახლოეს მოსახლემდე მანძილის (100 მ) და მის ირგვლივ არსებული სხვადასხვა საწარმოების კუმულაციის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის ეტაპზე, მოსალოდნელია ზემოქმედება ხმაურის გავრცელების კუთხით. ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების საკითხი სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და საჭიროებს დამატებით შესწავლას.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება. ატმოსფერული ჰაერში გავრცელებული მავნე

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ზუგდიდის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს**

**სკოპინგის დასკვნა N17**

**01.04.2021**

**საქმიანობის დასახელება:** ცემენტის წარმოება;

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს ,,კოლხეთი ცემენტი";

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N 1;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 04.02.2021;

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ:** შპს „გამა კონსალტინგი"

**ძირითადი საპროექტო მონაცემები:**

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში, შპს „კოლხეთი ცემენტის" მიერ წარმოდგენილია, ქ. ზუგდიდში ცემენტის წარმოების სკოპინგის ანგარიში.

შპს ,,კოლხეთი ცემენტის" მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი იყო ცემენტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება. 2019 წლის 12 დეკემბერს ზემოაღნიშნულ პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-1206 ბრძანებით გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, ქ. ზუგდიდში, შპს ,,კოლხეთი ცემენტის" ცემენტის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებარა** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და კომპანიას დაევალა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა.

2020 წლის 10 ივლისს შპს „კოლხეთი ცემენტმა" უზრუნველყო სამინისტროში სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენა, რა'ხეც კანონმდებლობის შესაბამისად დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაინტერესებული საზოგადოების მიერ სამინისტროში პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა შენიშვნები და მოსაზრებები, საიდანაც დასტურდებოდა რომ შპს ,,კოლხეთი ცემენტის" პროექტზე სამინისტროში მიმდინარე სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პარალელურად მიმდინარეობდა საწარმოს მოწყობითი სამუშაოები და საწარმოს მშენებლობა იმყოფებოდა ფაქტობრივად დასრულების სტადიაზე. კანონდარღვევის ფაქტზე რეაგირების მიზნით აღნიშნული კორესპონდენციები, შესაბამის ფოტომასალასთან ერთად, გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში. ამასთან - ვინაიდან სამინისტროში წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში საქმიანობა განხილული იყო როგორც დაგეგმილი, ხოლო ტერიტორიაზე არსებული რეალობა განსხვავდებოდა ანგარიშში მითითებული ინფორმაციისგან სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

შპს „კოლხეთი ცემენტმა" 2021 წლის 15 იანვარს, სამინისტროში კვლავ წარმოადგინა სკოპინგის ანგარიში, თუმცა ადმინისტრაციული წარმოება პროექტთან დაკავშირებით არ დაწყებულა და კომპანიას ეცნობა რომ სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სახეები. მოცემული გარემოების შემდგომ, სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, განახლებული სკოპინგის ანგარიში, ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შპს „კოლხეთი ცემენტმა" წარმოადგინა 2021 წლის 4 თებერვალს.

წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ შპს „კოლხეთი ცემენტის" მიერ საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადი სამშენებლო და დანადგარების სამონტაჟო სამუშაოები უკვე ჩატარებულია. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საზედამხედველო ორგანოებმა დაათვალიერეს ტერიტორია და კანონდარღვევაზე შესაბამისი რეაგირება მოახდინეს. საზედამხედველო ორგანოების მიერ ინსპექტირების განხორციელების შემდგომ კომპანიამ სამშენებლო სამუშაოები შეაჩერა. გარემოსდაცვით ნაწილში სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. კერძოდ, ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. №1-ში მდებარე, შპს "კოლხეთი ცემენტი"-ს კუთვნილი ცემენტის საწარმოს მიმართ 2020 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $79^{7}$ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №060880 ოქმი და განსახილველად გადაეგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 10 მარტის დადგენილებით კომპანიას სიტყვიერი შენიშვნა გამოეცხადა, რომელიც სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში შემოყვანილია ელ. მომარაგება, რისთვისაც ტერიტორიაზე განთავსდა ელ. ფარი; ჩატარებულია სილოსების, მილ-წისქვილის საძირკვლების მოწყობის და ბეტონის სამუშაო; დამონტაჟებულია 2 ც 700 ტ-იანი ცემენტის სილოსი; განთავსებულია მილ-წისქვილი და აირგამწმენდის სისტემა; მოწყობილია ანგარი/გადახურვა. სამშენებლო სამუშაოთაგან დარჩენილია: საწარმოო ხაზის განთავსებისთვის განკუთვნილი არსებული შენობის ნაწილობრივი გადახურვა (შენობის დაახლოებით მესამედს არ გააჩნია სახურავი); 700 ტ-იანი ცემენტის სილოსი 1 ც; ტერიტორიის მობეტონება; გამწვანების მოწყობა. დაგეგმილი არ არის საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ძველი შენობების დემონტაჟი. სკოპინგის ანგარიშში, საწარმოს არსებული მდგომარეობა და უკვე მოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტები ნაჩვენებია ასევე ფოტომასალის სახით.

სკოპინგის ანგარიშში, კანონმდებლობის შესაბამისად მოცემულია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია, ასევე განხილულია ტექნოლოგიური ალტერნატივები, არაქმედების ალტერნატივა და პროექტის საჭიროების დასაბუთება. საპროექტო ტერიტორიის შერჩევის მიზნით განიხილებოდა 2 ალტერნატივა. I - დიმურიას ქ. #1, ყოფილი ფაიფურის საწარმოს ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და II - ჯანაშიას ქ. N1, ყოფილი ქაღალდის ცელულოზის საწარმოს ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გარემოსდაცვითი ასევე, ეკონომიკური თვალსაზრისით უპირატესობა მიენიჭა მეორე (II) ალტერნატიულ ლოკაციას.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საქმიანობის განხორციელებისათვის განკუთვნილი საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. №1-ში შპს „კოლხეთი ცემენტის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდია - 43.31.62.660. ტერიტორიას ესაზღვრება გრუნტის გზა, კერძო სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, ყოფილი ქაღალდის ცელულოზის საწარმო. საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილია, წარმოდგენილია ტიპიური ტექნოგენული ლანდშაფტი. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს დასავლეთით, საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან დაახლოებით 180 მ-ში, მდებარეობს სოფ. ახალაბასთუმნის უახლოესი საცხოვრებელი სახლი. **ამასთან, ელექტრონული გადამოწმების შესაბამისად დადგინდა რომ - ზემოაღნიშნულ სახლამდე, საპროექტო ნაკვეთის საზღვრიდან 145 მ-ში ფიქსირდება შენობა-ნაგებობა, რომლის ფუნქციური მნიშვნელობა გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას.**

დაგეგმილია სხვადასხვა მარკის პორტლანდცემენტის წარმოება. კომპანია გეგმავს კლინკერის, თაბაშირის, პემზისა და სხვა დანამატების გარკვეული თანაფარდობით შერევას და წმინდა ფხვნილად დაფქვას. საპროექტო საწარმოში დაგეგმილი არ არის კლინკერის წარმოება. სკოპინგის ანგარიშში განხილულია საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი, მოცემულია ცემენტის წარმოების ტექნოლოგიური ხაზის ამსახველი ტექნოლოგიური ნახაზები, შესაბამისი ექსპლიკაციით. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მექანიკურია, იგი გულისხმობს - კლინკერის შეცხობილი მყარი ნატეხების დამსხვრევას და თაბაშირით მდიდარ ნედლეულთან და სხვა დანამატებთან ერთად დაფქვას. ძირითადი წარმოების პროცესი განხორციელდება ანგარის ტიპის შენობაში.

**საწარმოო ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით,** საწარმოში მიღებული ნედლეული დასაწყობდება დახურულ შენობაში. მომზადებული კაზმი ჩაიყრება მასალების მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორით დასაფქვავად გადადის ბურთულებიან მილ-წისქვილში. დამფქვავ კამერას მასალა მიეწოდება თანაბარი ინტენსივობით. დაქუცმაცებული მასალა გადადის მზა პროდუქციის კამერაში გადამტვირთველი მოწყობილობის მეშვეობით. წისქვილის (ზომებით 2,2 x 8,5მ) მაქსიმალური წარმადობაა - 8 ტ/სთ. წისქვილიდან მიღებული დაფქული პროდუქცია პნევმოტრანსპორტიორის საშუალებით გადადის შენობის გარეთ განთავსებულ სილოსებში (3 ცალი; თითოეულის მოცულობა - 700 ტონა). საწარმოს წარმადობა იქნება წელიწადში - 24192 ტ. სამუშაო წარიმართება ორცვლიანი რეჟიმით, დღეში 16 საათის განმავლობაში.

მიღებული პროდუქციის სახეები იქნება: პორტლანდცემენტი MC 22.5 (მარკა 300); EN 197 - II CEM II 32.5 ევროპული სტანდარტი ( მარკა 400); EN 197 - II CEM II 42.5 ევროპული სტანდარტი (მარკა 500). სილოსებიდან ცემენტი მომხმარებელს მიეწოდება ცემენტომზიდით, ან დაფასოებული სახით (50 კგ-იან ტომრებში). ცემენტის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის შეძენა დაგეგმილია ადგილობრივ ბაზარზე. გამოყენებული იქნება კლინკერი, თაბაშირი, წიდა, ნაყარი, მაგნიტური წიდა, ტუფი, ბაზალტი, ღორღი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, წისქვილზე დამონტაჟებული იქნება ჰაერგამწმენდი მოწყობილობა (200-2000 მმ-იანი ქსოვილოვანი ფილტრებით), რომლის მტვრის დაჭერის ეფექტი აღწევს – 99,96 %-ს. გარკვეული პერიოდულობით, საჭირო იქნება ქსოვილის გაწმენდა/გამოცვლა..

საპროექტო ცემენტის საწარმო წყლის გამოყენებას არ საჭიროებს. წყალი საწარმოში გამოიყენება მხოლოდ მოსამსახურე პერსონალის სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში წყალმომარაგება

განხორციელდება ავტოცისტერნებით, ასევე შემოტანილი იქნება ბუტილირებული წყალი. ტერიტორიაზე არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა, შესაბამისად დაგეგმილია ჰერმეტული მოცულობის მოწყობა, სადაც მოხდება საკანალიზაციო წყლის შეგროვება. პერიოდული გაწმენდა გათვალისწინებულია სათანადო სამსახურთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, წარმოების პროცესში მოსალოდნელია, საყოფაცხოვრებო, საწარმოო, მათ შორის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გატანილი იქნება ქ. ზუგდიდის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე. სახიფათო ნარჩენები გარემოსდაცვითი პირობების შესაბამისად განთავსდება დროებითი განთავსების უბანზე და გადაეცემა აღნიშნული ნარჩენების მართვაზე სათანადო ნებართვის მქონე კომპანიებს.

საწარმოო პროფილის გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე ძირითადად დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან და ხმაურის გავრცელებასთან. აღსანიშნავია, რომ პროექტის სპეციფიკის და უახლოეს მოსახლემდე მანძილის გათვალისწინებით გზშ-ის ეტაპზე მნიშვნელოვანია დეტალურად შეფასდეს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების საკითხები, მათ შორის საპროექტო ჰაერგამწმენდი მოწყობილობის ეფექტურობა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ქ. ზუგდიდის ენგურქაღალდკომბინატის დასახლების და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმნის, შამგონის და ინგირის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება, სადაც მკაფიოდაა დაფიქსირებული საზოგადოების პროტესტი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, ასევე მოთხოვნილია უკვე მოწყობილი ინფრასტრუქტურის დემონტაჟი და საწარმოს სხვა ლოკაციაზე გადატანა, კერძოდ - ისეთ პერიფერიაზე, სადაც არ იქნება მჭიდროდ დასახლებული უბნები და სხვა ისეთი ობიექტები,სადაც ადამიანების დიდი რაოდენობაა დასაქმებული.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და ოფიციალურ ვებგვერდზე. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, 2020 წლის 18 სექტემბერს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში" განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების, Webex-ის აპლიკაციის გამოყენებით, 2021 წლის 22 თებერვალს. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის, შპს „კოლხეთი ცემენტის", შპს „გამა კონსალტინგის", ააიპ „მწვანე ალტერნატივას", სამოქალაქო მოძრაობა „სამეგრელოს ხმის" წარმომადგენლები, ასევე ქ. ზუგდიდის, სოფ. ახალაბასთუმნის მაცხოვრებლები და სხვა დაინტერესებული საზოგადოების წევრები. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები, რომელთა შესახებ შესაბამისი განმარტებები გააკეთეს სამინისტროს, კომპანიისა და საკონსულტაციო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, აისახა სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის ოქმში. საჯარო განხილვაზე, დამსწრე საზოგადოების მხრიდან, გამოიკვეთა დადებითი და უარყოფითი პოზიციები, განწყობები პროექტის განხორციელების მიმართ. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული შენიშვნები ძირითადად ეხებოდა კომპანიის მიერ უნებართვოდ განხორციელებულ მოწყობით სამუშაოებს, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გარემოზე, მათ შორის ადამიანის ჯანმრთელობაზე, მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხებს. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთეს

სამინისტროსა, მუნიციპალიტეტისა და კომპანიის წარმომადგენლებმა. კერძოდ აღინიშნა, რომ საზედამხედველო ორგანოების მხრიდან უნებართვო მშენებლობაზე განხორციელდა, კანონით განსაზღვრული სათანადო ღონისძიებები და შეჩერდა საწარმოს მშენებლობა, ამასთან მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ მიღებულ იქნა განკარგულება ობიექტის დემონტაჟის შესახებ (რომელიც კომპანიის მხრიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაშია გასაჩივრებული). ზემოქმედების საკითხებთან დაკავშირებით დამსწრე საზოგადოებას განემარტა, რომ დეტალური შეფასებები, კვლევები და შესაბამისი დასკვნები წარმოდგენილი იქნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე. შპს „კოლხეთი ცემენტის" წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ საჯარო განხილვაზე გამოთქმული ყველა კითხვა/შენიშვნა/მოსაზრება ჩანიშნული აქვს და გათვალისწინებული იქნება გზშ-ის ანგარიშის მომზადების ეტაპზე. საჯარო განხილვის მსვლელობის დროს შპს „კოლხეთი ცემენტის" სამართალდარღვევაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცედურებზე კომენტარი გააკეთა ზუგდიდის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელმა. ამასთან, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სამინისტროს წარმომადგენელმა თხოვნით მიმართა მერიის წარმომადგენელს შესაბამისი საქმის წარმოების მასალების მოწოდებასთან დაკავშირებით. თუმცა განხილვის შემდგომ ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მერიის მხრიდან ინფორმაცია სამინისტროში არ წარმოდგენილა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე (საჯარო განხილვის შემდგომ) ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში, გადაგზავნილ იქნა წერილი შპს „კოლხეთის ცემენტის" პროექტზე მერიაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების მასალებისა და საქმიანობის განხორციელების მიზანშეწონილობაზე მუნიციპალიტეტის პოზიციის მიღების მიზნით. ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული წერილის თანახმად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში დასრულდა ადმინისტრაციული წარმოება შპს „კოლხეთი ცემენტის" მიერ უნებართვოდ დაწყებული საქმიანობის შესახებ გამოვლენილ სამართალდარღვევაზე. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობა მიესალმება, ისეთ სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდება. ამასთან წარმოდგენილ იქნა შპს „კოლხეთი ცემენტის" უნებართვო საქმიანობასთან დაკავშირებით ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების მასალები და შესაბამისი გადაწყვეტილება. კერძოდ, როგორც წარმოდგენილი ინფორმაციით დგინდება - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 მარტის ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული გადაწყვეტილება უნებართოდ წარმოებული მშენებლობის დემონტაჟის ნაწილში.

ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სამინისტროში დააფიქსირა, ასევე ააიპ „მწვანე ალტერნატივამ". ააიპ „მწვანე ალტერნატივას" მიერ დაფიქსირებული შენიშვნები ძირითადად ეხებოდა შპს „კოლხეთი ცემენტის" მიერ უკანონოდ დაწყებულ საქმიანობას, უკვე ჩატარებულ სამუშაოებს, აღნიშნულთან დაკავშირებით სამინისტროს რეაგირებას, პროექტის სამინისტროში წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველს და მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოების კანონიერებას. ამასთან აღნიშნული იყო რომ წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშზე შეუძლებელია გაიცეს დადებითი დასკვნა. ააიპ „მწვანე ალტერნატივას" მიერ დაფიქსირებულ საკითხებთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ შპს „კოლხეთი ცემენტის" პროექტთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2020 წლის აგვისტოს პერიოდში, უნებართვო მშენებლობაზე მიღებული კორესპონდენციების საფუძველზე, საკითხის შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით უზრუნველყო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმირება. დეპარტამენტის

მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დადგინდა რომ ადმინისტრაციული წარმოების პარალელურად, შპს „კოლხეთი ცემენტი" ახორციელებდა სამშენებლო და დანადგარების სამონტაჟო სამუშაოებს. გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა განახორციელა კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები. ზემოაღნიშნული გარემოებების შემდგომ, ვინაიდან გაირკვა, რომ ტერიტორიაზე არსებული რეალობა განსხვავდება ანგარიშში მითითებული ინფორმაციისგან, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით 2020 წლის ივლისში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. 2021 წლის 4 თებერვალს კომპანიამ სამინისტროში წარმოადგინა განახლებული სკოპინგის განცხადება ადგილზე არსებული, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ხოლო ვინაიდან გარემოზე ზემოქმედების შესწავლას საქმიანობა საჭიროებს, როგორც მოწყობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე და ზემოქმედების შესწავლის/შეფასებისთვის უკვე განხორციელებულ საქმიანობაზე კოდექსი არ ითვალისწინებს სხვა პროცედურის გავლას პროექტთან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით. აღსანიშნავია რომ საზედამხედველო ორგანოების მიერ გამოვლენილი დარღვევის შემდგომ საწარმოს მოწყობითი სამუშაოები არ განახლებულა და საქმიანობა არ დაწყებულა.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, საჯარო განხილვაზე და სამინისტროში წერილობით დაფიქსირებული, საფუძვლიანი შენიშვნები/მოსაზრებები აისახა სკოპინგის დასკვნაში - გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალში.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, შესწავლილ იქნა საპროექტო ტერიტორია. ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შედეგად, მოხდა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროების, სახეებისა და ობიექტების იდენტიფიცირება.

სკოპინგის პროცედურის შედეგად განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედების სახეები.

<u>**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი**</u>

1. <u>**გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს**</u> „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. <u>**გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს**</u> „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. <u>**გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს**</u> სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

3.1. <u>**გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ,**</u>

რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

4. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- პროექტის საჭიროების დასაბუთება;
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;
- პროექტის ფარგლებში უკვე შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი ფოტომასალით;
- საპროექტო ტერიტორიების დეტალური აღწერა, მათ შორის საპროექტო ტერიტორიების საკადასტრო კოდი, ფართობი, Shp ფაილები, GPS კოორდინატები;
- საწარმოს განთავსების ადგილის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- პროექტის ალტერნატიული ვარიანტები, შესაბამისი დასაბუთებით მათ შორის არაქმედების ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები, ობიექტის განთავსების ალტერნატივა, და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული დასაბუთებული ალტერნატივები. **გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ობიექტის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;**
- **იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განხორციელება შერჩეულ ტერიტორიაზე არ იქნება სათანადოდ დასაბუთებული გარემოსდაცვითი კუთხით, განხილული უნდა იყოს ალტერნატიულ ტერიტორიაზე საწარმოს განთავსების საკითხი;**
- საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე (მდებარეობის მითითებით);
- ინფორმაცია 500-მ რადიუსის საზღვრებში არსებული მოქმედი ნებისმიერი ტიპის წარმოების შესახებ, მათ შორის საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 380 მ-ში მდებარე სასაქონლო ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობების წარმოების საამქროს შესახებ;
- საპროექტო ობიექტის გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ყველა, არსებული და საპროექტო, ინფრასტრუქტურული ობიექტი;
- საწარმოს ტექნოლოგიური სქემის და ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით;
- საპროექტო ობიექტის წარმადობა და ფიზიკური მახასიათებლები;
- საწარმოს დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ტექნოლოგიური უბნების აღწერა;
- დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული გამწმენდი აპარატების (ტექნიკური პარამეტრებისა და ეფექტურობის შესახებ) შესახებ;
- მტვერდამჭერის მიერ დაჭერილი მტვრის მართვის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გამოყენებული ნედლეულისა და დანამატების შესახებ, მათ შორის ნედლეულით, დანამატებით მომარაგების, რაოდენობისა და დასაწყობების პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია, პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ, ასევე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია (კოდი, დასახელება, რაოდენობა) იმ ნარჩენების შესახებ, რომელსაც კომპანია იყენებს ცემენტის წარმოების პროცესში დანამატად;

- საპროექტო ობიექტის სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია;
- წყალმომარაგების სისტემის განლაგება და ტექნიკური მონაცემები, მოხმარებული წყლის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია;
- სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხები;
- კანალიზაციის სქემა გენ-გეგმაზე დატანით;
- საპროექტო ტერიტორიაზე და ტექნოლოგიურ უბნებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია (შესაბამისი სქემატური ნახაზების მითითებით);
- საწარმოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების აღწერა;
- ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზების შესახებ;
- **ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ დეტალური ინფორმაცია (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). მათ შორის წარმოდგენილი უნდა იყოს ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით. ამასთან მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობები, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოძრაო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა;**
- **ნედლეულის/პროდუქციის** ტრანსპორტირების სქემის და გეგმა-გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანებითი ღონისძიებების შესახებ, გენ-გეგმაზე მითითებით. მათ შორის მიზანშეწონილია გამწვანების ზოლი მოეწყოს უახლოესი დასახლებული პუნქტების მხარეს;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;

**5. პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის:**

- **პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:**
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში;
  - ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები;
  - **ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;**
  - **გათვალისწინებული უნდა იყოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტი ავტომატური მონიტორინგის დანერგვისა და განხორციელების, მონიტორინგის შედეგების ონლაინ რეჟიმში ხელმისაწვდომობის საკითხი;**
  - დეტალური ინფორმაცია ჰაერგამწოვი, ჰაერგამწმენდი, აირმტვერდამჭერი სისტემის შესახებ (საპასპორტო მონაცემები; ეფექტურობის დამადასტურებელი დეტალური მონაცემები);
  - ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;

- პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით;
- ზემოქმედება ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გეოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა და გეოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება;
- მიწისქვეშა/გრუნტის წყლების დაბინძურებისა და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება;
- **საპროექტო ობიექტის მოსახლეობასთან სიახლოვის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;**
- ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების შეფასება;
- ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე და შესაბამისა შემარბილებელი ღონისძიებები;
- **ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და ტრანსპორტირების შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შემცირების მიზნით შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;**
- ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ. პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებები, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, შესაბამისი საკონტროლო წერტილების მითითებით;
- გზშ-ს ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- სკოპინგის ეტაპზე, საჯარო განხილვის დროს საზოგადოების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების/შენიშვნების/პოზიციების შეფასება და განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა.

6. <u>**შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:**</u>

